საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათას თორმეტი წლის ოცდაერთ მაისს, მე, ნუნუ კალანდარიშვილს, საქართველოს ნოტარიუს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, მარჯანიშვილის ქ.№19, მომმართა: **ბ-ნმა ნოდარ ტოტოღაშვილმა,** რომელმაც მოითხოვა მინდობილობის ტექსტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ბ-ნმა ნოდარ ტოტოღაშვილმა** (დაბ. 29.08.1960წ. თბილისში, მცხ. თბილისი, ად. მიცკევიჩის ქ. 29, კორპ №5, ბინა №34, პ/№01013006941) მომმართა. მე, აგრეთვე, შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში და უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს, შემდეგ მას განვუმარტე მინდობილობაზე ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები, შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წაიკითხა **ბ-ნმა ნოდარ ტოტოღაშვილმა** და განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს და ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი ქვემოაღნიშნულ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **ნოდარ ტოტოღაშვილმა** ქ-ნ **მთვარისა მჭედლიძე -კვირიაშვილს** (დაბ. 14.01.1967 წ, ლაგოდეხში, მცხ. თბილისი, II ნავთლუღის დას. VII ქ. II ჩიხი №27, პ/№13001002687)

მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

1. **ქ-ნი მთვარისა მჭედლიძე -კვირიაშვილი** უფლებამოსილია იყოს ჩემი წარმომადგენელი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, საჯარო სამსახურებში, მერიაში, გამგეობაში, საგადასახადო ინსპექციაში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, სამოქალაქო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სააგენტოში, არქივში, საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში, ნებისმიერ იურიდიულ ან ფიზიკურ პირებთან, სანოტარო ბიუროში, ყველა კომპეტენტურ ორგანოებში, ჩემი სახელით შეიტანოს განცხადება, მოიპოვოს (გამოითხოვოს) ნებისმიერი სახისა და შინაარსის დოკუმენტები, შეაგროვოს ჩემს სახელზე რიცხული უძრავი ქონების, რომელიც მდებარეობს **მისამართზე: თბილისი, გორგასალის ქ. №3** ყოველგვარი დოკუმენტაცია, **აიღოს ცნობები, ამონაწერები, მოწმობები და სხვა საჭირო დოკუმენტაცია, წარადგინოს მოთხოვნის ადგილზე, გადაიხადოს ყოველგვარი გადასახადი. მოახდინოს უძრავი ქონების ლეგალიზაცია/დაკანონება,** დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში, აიღოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ამასთან დაკავშირებით აწარმოოს კანონით ნებადართული ყველა საჭირო ქმედება, ჩემს მაგივრად მოაწეროს ხელი ყველა საჭირო დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ზემოაღნიშნული მინდობილობის შესასრულებლად. **იპოთეკით დატვირთვის და გასხვისების გარეშე.**
2. მინდობილობა შედგენილია და ხელმოწერილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი რჩება ნოტარიუსის ნ.კალანდარიშვილის სანოტარო ბიუროს არქივში, ორი – გადაეცა **ბ-ნ ნოდარ ტოტოღაშვილს.**
3. მინდობილობის ტექსტი წავიკითხე მარწმუნებელმა, იგი შეესაბამება ჩემს სურვილს და ნებას, ხელს ვაწერ და თანახმა ვარ დადასტურდეს ნოტარიულად.

4. მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და ძალაშია 2013 წლის 21 მაისის ჩათვლით

(ხელმოწერა) ნოდარ ტოტოღაშვილი

გადახდილია საზღაური საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილების საფუძველზე, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ“ 31-ე მუხლის თანახმად 10ლარი და 39-ე მუხლის თანახმად სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2,00 (ორი) ლარი.

საქართველოს ნოტარიუსი ნუნუ კალანდარიშვილი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

12242240487012

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N120522977

რეგისტრაციის თარიღი

21.05.2012 წ

ნოტარიუსი: ნუნუ კალანდარიშვილი
მისამართი: ქ.თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #19
ტელეფონი: 2967042

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19